02/05/2025

MES 1 25 0000471854

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია - შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ ბიბილაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლა:
მარინე სამუშია - სკოლის დირექტორი

სსიპ- გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლა:
ეკატერინე წიფურია - სკოლის დირექტორი

სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლა:
როენა ფიფია - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლა:
რუსუდან კეკელიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის №65 საჯარო სკოლა:
ნინო მჭედლიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლა:
კლარა ზედგენიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლა:
ნელი ნათენაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლა:
ბელა ცინცაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლა:
მაია ხახალეიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზია:
თამარ კაპანაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლა:
ნანა ბოჭორიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა:
მანანა ლაშხია - საინფორმაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი

სსიპ - ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლა:
მაია მღვდელაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლა:
ლალი ნადირაძე - სკოლის დირექტორი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 16 აპრილს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ- გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის №65 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;

6. სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის წარმომადგენელს ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი, ვერ უერთდებოდა საბჭოს სხდომას და დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 საკითხი, განეხილათ მე-14 საკითხად.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:
1. სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ- გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ქალაქ თბილისის №65 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, კერძოდ, აღნიშნა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი მუშაობდა საგნობრივი სტანდარტების ცვლილებებზე, რომელიც რამდენადაც ცნობილი იყო, ძალაში შევიდოდა უახლოეს პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნდა 2025 წელს და 2026 წლის იანვარში საბჭოს მიერ დანიშნული მონიტორინგი არ განხორციელებულიყო მეორე სტანდარტზე (სასკოლო კურიკულუმი) რადგანაც ეს იყო სკოლებისთვის გარდამავალი პერიოდი ახალ საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფლად და შესაბამისად არამიზნობრივი იქნებოდა მონიტორინგის განხორციელება.
ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ანალოგიური მიდგომა უნდა ყოფილიყო იმ სკოლებზეც, რომლის მონიტორინგიც უნდა განხორციელებულიყო 2024 წელს და 2025 იანვრიდან და გადაიდო ავტორიზაციის დებულების ცვლილებამდე (მონიტორინგის საფასურების ნაწილში). ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიცია

იყო, რომ 2026 წელს შეიმუშავოს მექანიზმი სამინისტროსთან შეთანხმებით, რომლის მეშვეობითაც ექსპერტების მიერ შემოწმდება ავტორიზებული სკოლების შესაბამისობა ახალ საგნობრივ სტანდარტებთან.
აქვე, აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს დაგეგმილი იყო ცენტრში ასზე მეტი საჯარო სკოლის ადმინისტრაციული წარმოება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით. სამსახურის პოზიცია იყო, რომ სამსახურში არსებული ადამიანური რესურსის გათვალისწინებით და პროცესების ხარისხიანად განხორციელების მიზნით, 2025 წელს საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე დანიშნული მონიტორინგი განხორციელდეს მხოლოდ იმ სკოლებში, სადაც სრული მონიტორინგი იყო დანიშნული (შემოწმდეს მხოლოდ სამი ინსტიტუციური სტანდარტი). ხოლო, საბჭოს მიერ 2025 წელს დანიშნული 46 სკოლის მონიტორინგი განხორციელებულიყო 2026 წლის იანვარ-მარტში დანართის შესაბამისი განრიგით. ზემოაღნიშნულ 46 სკოლაში (დანართი N1) არ შემოწმდება მეორე სტანდარტი და შემოწმდება მხოლოდ ინსტიტუციური სტანდარტი/კომპონენტი.
იმ შემთხვევაში, თუ 2025 წელს დანიშნულ მონიტორინგებზე მეორე სტანდარტის ამოღების შემდგომ, საბჭოს მიერ დანიშნული მონიტორინგიდან დარჩება მხოლოდ ერთი კომპონენტი აღნიშნულის შემოწმება მოხდება დასკვნაში/საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებების ცენტრში გამოგზავნით (მონიტორინგი ცენტრის მხრიდან დოკუმენტაციის განხილვით).
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

1.სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობები, ექიმის კვალიფიკაციის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობის მიზნით შენობის ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სავალდებულო ცნობები, სკოლის ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მარინე სამუშიამ, აღნიშნა, რომ მიღებული ჰქონდათ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, აღნიშნული დასკვნა იყო უარყოფითი, ვინაიდან, სკოლის ერთი ფლიგელი საჭიროებდა გამაგრებას. სკოლის დირექტორის თქმით, ჰქონდათ მიწერილობა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან და ელოდა შესაბამის რეაგირებას.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო შენობის ადაპტირებასთან დაკავშირებით.
დაწესებულების დირექტორის, მარინე სამუშიას განმარტებით, კიბის სივიწროვის გამო სკოლაში ვერ მოეწყობოდა პანდუსი, შესაბამისად, ჰქონდა მიწერილობა გარე ლიფტის მოწყობასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული დაკავშირებული იყო საკმაოდ დიდფინანსურ რესურსთან, სკოლა დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა ლიფტის მოწყობას.
საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, მიმდინარეობდა თუ არა სასწავლო პროცესი იმ შენობაში, რომელიც საჭიროებდა გამაგრებით სამუშაოებს.
აქვე, საბჭოს წევრი ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა რა ვითარება იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის განმარტებით, ფლიგელი იყო გადაკეტილი. რაც შეეხებოდა ლაბორატორიას, მან აღნიშნა, რომ გამოყოფილი იყო ფართი ლაბორატორიის მოწყობისთვის, თუმცა, ეს ფართი მდებარეობდა ავარიულ ფლიგელში და შესაბამისად ვერ იფუნქციონირებდა.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა ინფორმაცია, რა ვადაში განხორციელდებოდა გამაგრებითი სამუშაოები.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ისინი ითხოვდნენ სკოლის შენობის გამაგრებას 2025 წლის სექტემბრის თვისთვის, ინფრასტრუქტურის სამსახურისგან კი ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ამავე წლის გაზაფხულის ბოლოსთვის გამოიყოფოდა თანხები, თუმცა, არ ჰქონდა დაზუსტებული ინფორმაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, დაახლოებით რა ვადა ესაჭიროებოდათ რეკომენდაციების სრულად შესასრულებლად.
სკოლის დირექტორის, მარინე სამუშიას თქმით, აღნიშნული ვადები არ იყო დაწესებულებაზე დამოკიდებული და ელოდებოდნენ ინფრასტრუქტურის სააგენტოსგან შესაბამის რეაგირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: დასაქმებულების მიერ წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი ცნობები, ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.
რეკომენდაციები, რომლებიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის 1-ელ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:12 საათი
დასრულების დრო: 15:18 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის 1-ელ ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ **1. სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ვასაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გურამიშვილის N14ა-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნინო ვასაძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გამორჩეული მიდგომა, კერძოდ, პედაგოგი მოსწავლეებს ეხმარებოდა, რომ ტექსტები იაპონური მხატვრობის სტილთან (მანგასთან) დაეკავშირებინათ, აღქმისა და დასწავლის პროცესის გაადვილების მიზნით.
ექსპერტმა განმარტა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე და მეორე სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“, კომპონენტები 3.1; 3.4; 3.5 და 2.2 (სამივე საფეხურზე) ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ნინო ვასაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის

შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, როდის განხორციელდა შენობის რეაბილიტაცია და რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში საავტორიზაციო ჯგუფის ვიზიტის პერიოდში.
სკოლის დირექტორმა, მარინე სამუშიამ განმარტა, რომ სკოლის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა 9 წლის წინ, თუმცა სველი წერტილები გარემონტდა 2020 წელს. მან ასევე დაამატა, რომ სკოლის სრულ რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა კომუნიკაცია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. მისი თქმით, მომავალი წლიდან სკოლა გათვალისწინებული იყო რეაბილიტაციის პროექტში. რაც შეეხებოდა მოსწავლეთა რაოდენობას მიმდინარე პერიოდში, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში ირიცხებოდა 936 მოსწავლე, რომელთაგან 30 იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, საბჭოსთვის გაეცნოთ მეტი დეტალი სასკოლო კურიკულუმებთან დაკავშირებით, ასევე, იყო თუ არა დოკუმენტურად ასახული მასწავლებელთა განვითარებისა და მხარდაჭერის სამომავლო გეგმები.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, მანანა შეროზიამ ისაუბრა სასკოლო კურიკულუმებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ კურიკულუმებში იკვეთებოდა გარკვეული სახის ტექნიკური ხარვეზები, რომლებზეც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული იყო რეკომენდაციები და სკოლამ გაითვალისწინა თითოეული მათგანი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, მანანა სეხნიაშვილმა განმარტა, რომ მასწავლებლებმა, ინტერვიურების დროს, აღწერეს სასკოლო კურიკულუმები, რომლებიც საწყის ეტაპზე დოკუმენტურად არ ჰქონდათ ასახული. რაც შეეხებოდა მასწავლებელთა მხარდაჭერის გეგმას, ექსპერტმა, ნინო ვასაძემ ისაუბრა და განმარტა, რომ პროფესიული განვითარების გეგმა ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია, თუმცა ხორციელდებოდა გაკვეთილების პროცესზე დაკვირვება, ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვეთა, შემდგომ კონკრეტული მიმართულებით ინტენსიური მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №141 საჯარო სკოლას (ს/კ: 200007679) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, გურამიშვილის 14 ა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, გურამიშვილის 14 ა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, გურამიშვილის 14 ა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - პირველი, მეორე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურების საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მეოთხე სტანდარტები.

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში. კერძოდ, უზრუნველყოს დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენა, ექიმის კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებთან, გარდა ამისა, შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობის მიზნით შენობის ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარდგენა.“

2. სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განაცხადა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული სკოლის შესახებ საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან იყო სსიპ-გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი.
შესაბამისად, სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი.
სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 13 ნოემბრის N1537604 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით ცენტრში წარმოედგინა დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე, მტკიცებულებები იმისა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას სკოლა აღჭურავდა ამწოვი კარადითა და უზრუნველყოფდა ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობას.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ამწოვი კარადით საბუნებისმეტყევლო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის მტკიცებულებები, მიწერილობები ადაპტირებული გარემოს მოწყობის და სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობის შესახებ.
სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში მოაწყეს ამწოვი კარადა ხოლო რაც შეეხებოდა სახანძრო უსაფრთხოებას ჰქონდათ მიწერილობა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან. მისი თქმით, აღნიშნული დაკავშირებული იყო საკმაოდ დიდ თანხებთან, რისი საშუალებაც საჯარო სკოლას დამოუკიდებლად ვერ ექნებოდა. ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით კი, აღნიშნა, რომ კიბის დახრილობიდან გამომდინარე სკოლაში ვერ მოეწყობოდა პანდუსი და საჭიროებდა ლიფტს.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდა სკოლას სავარაუდო პერიოდი განსაზღვრული, თუ რა ვადაში მოხდებოდა ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება სრულად დამოკიდებული იყო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოზე და როგორც წესი, დროის მოკლე ვადაში უნდა შესრულებულიყო რეკომენდაცია.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ- გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ამწოვი კარადით აღჭურვასთან დაკავშირებით.
რეკომენდაციები, რომლებიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა და ადაპტირებული გარემოს მოწყობა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა

დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 ნოემბრის N1537604 ოქმის მე-8 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:26 საათი
დასრულების დრო: 15:31 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 ნოემბრის N1537604 ოქმის მე-8 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„8. სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ და ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადეს, რომ ის ვერ მიიღებდნენ აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდათ ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ხათუნა ლოდიამ. მისი თქმით, სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, პეტრე მელიქიშვილის N2-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2000 მოსწავლეს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. თუმცა, აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტის 3.4. და 3.5 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ეხათუნა ლოდიამ აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებიაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლას რადიო „საქართველოს ხმასთან“ გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ამზადებდნენ გადაცემას სახელწოდებით „მოსწავლის ხმა“. მან დასძინა, რომ მოსწავლეების მიერ მომზადებული გადაცემები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში იკავებდა რადიო „საქართველოს ხმის“ საეთერო ბადეს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და ექსპერტებს მიმართა კითხვით, დაეზუსტებინათ, როგორ ხდებოდა აღნიშნული კურიკულუმების შეფასება ავტორიზაციის პროცესში და როგორ წარმიმართა მასწავლებლებთან შეხვედრისა და ინტერვიუების პროცესი. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, ნათია მაკრახიძემ აღნიშნა, რომ მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილი კურიკულუმები იყო სრულყოფილი და გამართული. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ეკა კობიაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანდამასწავლებლების აქტიურობა და ჩართულობა. სკოლაში ჩამოყალიბებული იყო არაერთი კლუბი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა მრავალფეროვანი პროექტები. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ნანა ცინცაძემ, დაამატა, რომ კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, მასწავლებლები აქტიურად ახორციელებდნენ, როგორც კომპლექსურ დავალებებს, ასევე, ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და სხვადასხვა სახის პროექტებს. სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა ნანა შალამბერიძემ აღნიშნა, რომ იგი იზიარებდა კოლეგების მოსაზრებებს.
საბჭოს თავმჯდომარემმიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, განმარტა, რომ სკოლის მხრიდან შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი იყო სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებული შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, რომლის საფუძველზეც , სკოლის შენობა სეისმომედეგობასთან სრულ შესაბამისობაში არ იყო, თუმცა, მოცემულ ეტაპზე იყო უსაფრთხო. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ სკოლისთვის საფრთხეს წარმოადგენდა 8-ბალიანი მიწისძვრა. აქვე, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, როგორ გეგმავდა სკოლა შენობის ადაპტირებას. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შენობის ადაპტირების მიზნით, სკოლამ წარადგინა მიწერილობა შესაბამის სამსახურში, საიდანაც სკოლამ მიიღო ინფორმაცია, რომ სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის სრულად ადაპტირება დაიგეგმებოდა 2024 წლის ბიუჯეტის ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლას (ს/კ: 203850699) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, პ. მელიქიშვილის ქუჩა N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, პ. მელიქიშვილის ქუჩა N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, პ. მელიქიშვილის ქუჩა N2

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში. კერძოდ, წარმოედგინა დასკვნა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე, მტკიცებულებები იმისა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას სკოლა აღჭურვიდა ამწოვი კარადითა და უზრუნველყოფდა ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობას. „

სსიპ- გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომას კვლავ გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 27 ნოემბრის N1607966 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა - ნაგებობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, ასევე, ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დადებითი დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, ასევე შენობაში ლიფტის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, რუსუდან კეკელიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოპოვებული ჰქონდა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დადებითი დასკვნა, ასევე, სკოლამ მოაწყო ლიფტი. რაც შეეხებოდა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, დაწესებულებას მიმართული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის, წარადგინა პროექტი, შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც წარდგენილი იყო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში და ელოდნენ შესაბამის რეაგირებას. აქვე, აღნიშნა, რომ სკოლის შესაძლებლობის ფარგლებში, მოწყობილი ჰქონდათ საევაკუაციო გეგმები, ცეცხლმაქრები, განათების სისტემა და ყველა საჭირო ინვენტარი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდა, რომელიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 ნოემბრის N1607966 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:37 საათი
დასრულების დრო: 15:43 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 ნოემბრის N1607966 ოქმის მე-4 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. სსიპ - ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 28 და 29 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, დ. სარაჯიშვილის ჩიხი I, N2 -ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1200 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასებული იყო, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტი 3.4 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები,

რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული გარემო. მისი განცხადებით სკოლა ერთ-ერთ პროფესიულ სასწავლებელთან ჰქონდა მემორანდუმი გაფორმებული. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სკოლის მოსწავლეები ეცნობოდნენ მზარეულისა და კონდიტერის პროფესიებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, ექსპერტს მიმართა კითხვით, ირიცხებოდა თუ არა სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდნენ სპეციალუირი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. ექსპერტის განცხადებით სკოლაში არ ირიცხებოდა ეტლით მოსარგებლე მოსწავლე.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად, სკოლას დამტკიცებული ჰქონდა შიდა სასკოლო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტზე. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მოცემული დოკუმენტის თანახმად, ჯგუფის მუშაობის ვადა იყო დეკემბრის ბოლომდე. ზვიად გოგუაძემ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, იყო თუ არა სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები დასრულებული, თუ შიდა სასკოლო ჯგუფი აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობას კვლავ განაგრძობდა. სკოლის დირექტორმა, რუსუდან კეკელიძემ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო დასრულებული სახით. თუმცა, აღნიშნული ჯგუფი მუშაობას განაგრძობდა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები არ იყო სრულყოფილი. აღნიშნულთან დაკავშირებით დასკვნაში ექსპერტების მხრიდან არ ხდებოდა ყურადღების გამახვილება რჩევებისა და რეკომენდაციების სახით. საბჭოს წევრმა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს სთხოვა გაეზიარებინა მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მაია ჩიტიამ, აღნიშნა, რომ შეხვედრის დროს ექსპერტის მხრიდან ზეპირსიტყვიერად მოხდა გარკვეული რეკომენდაციების გაცემა, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით. რეკომენდაციების გაცემის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე ექსპერტმა აღარ მიიჩია საჭიროდ დამატებითი რეკომენდაციების დასკვნაში გაწერა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან პირველადი დოკუმენტაციის წარმოდგენა მოხდა ზაფხულის დასაწყისში. სკოლამ სასწავლო წლის დაწყებამდე აღნიშნულ დოკუმენტაციაზე იმუშავა, დახვეწა და განავითარა. ვიზიტის პერიოდში სკოლის მასწავლებლებმა ექსპერტს წარუდგინეს შეცვლილი და სრულყოფილი კურიკულუმები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, რომლის თანახმადაც სკოლა გეგმავდა წელიწადში ორჯერ ჩაეტარებინა სადიაგნოსტიკო წერები და მოეხდინა შედეგების გაანალიზება. საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რა ეტაპზე იყო სკოლა მოცემული დროისთვის და როგორ აპირებდა აღნიშნულის განხორციელებას. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის უკვე მიმდინარეობდა სადიაგნოსტიკო წერები. შედეგების გაანალიზება მოხდებოდა დეკემბერში. რიგით მეორე სადიაგნოსტიკო წერა დაგეგმილი იყო სასწავლო წლის დასასრულს, რომლის შედეგების გათვალისწინებაც მოხდებოდა მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა აღნიშნული წერების გაანალიზება ხდებოდა მხოლოდ კონკრეტული

საგნის ჭრილში თუ თანამშრომლობდნენ სხვადასხვა კათედრებიც. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში აქტიურად თანამშრომლობდნენ კათედრები და ხშირად ხდებოდა სხვადასხვა საკითხების შეთანხმება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1
ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირაა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლას (ს/კ : 236059260) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დ. სარაჯიშვილის ჩიხი 1 , N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დ. სარაჯიშვილის ჩიხი 1, N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დ. სარაჯიშვილის ჩიხი 1, N2

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში, კერძოდ: შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების, ასევე, ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციაის წარმოდგენა. „

4. სსიპ - ქალაქ თბილისის №65 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №65 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე, ინკლუზიური გარემოს შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, რომლის მიხედვით ძირითადი შენობის მდგრადობა დამაკმაყოფილებელი იყო, ხოლო სპორტული დარბაზის შენობის მდგრადობა არადამაკმაყოფილებელი და საჭიროებდა დროულ გაძლიერებას, შესაბამისად დამუშავებული პროექტის მიხედვით.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნინო მჭედლიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოპოვებული ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. მისი თქმით, სკოლა განლაგებული იყო ტერასულად და მისი ადაპტირება წარმოადგენდა პრობლემას, შესაბამისად, აქტიურად მიმართავდნენ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დახმარების მიზნით. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოების საკითხს, მზად ჰქონდათ ხარჯთაღრიცხვა და ელოდნენ დაფინანსებას შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის №65 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები, რომლებიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა და ინკლუზიური გარემოს მოწყობა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო

ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:49 საათი
დასრულების დრო: 15:53 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მე-2 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ **2. სსიპ - ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან მოცემულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, იგი დაწესებულებასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N75-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1100 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ, განმარტა, რომ ოთხივე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4

(ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით, რადგან სკოლას არ ჰქონდა დასკვნები შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოებისა და მდგრადობის შესახებ და, ასევე, დაწესებულებაში არ იყო ინკლუზიური გარემო შექმნილი.
გიორგი მომცელიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებიაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. ექსპერტმაგანმარტა, რომ სკოლის მხრიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა კომუნიკაცია აღნიშნულ პასუხისმგებელ ორგანოსთან სპორტული კომპლექსის აშენების მიმართულებით, ხოლო ამ ეტაპების დასრულების შემდგომ იგეგმებოდა დასკვნის მოპოვება. სკოლის დირექტორმა, ნინო მჭედლიშვილმა, განმარტა, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტები იმყოფებოდნენ სკოლაში და სიტყვიერად შენობა შეაფასეს, როგორც დამაკმაყოფილებელი, ხოლო წერილობითი დასკვნა ჯერ არ ჰქონდათ მიღებული.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა თანამშრომელთა სამსახურში აყვანის წესში გაწერილი ტესტირება, კერძოდ, ინტელექტისა და პიროვნული მახასიათებლების დასადგენი დავალებები. სკოლის დირექტორმა, ნინო მჭედლიშვილმა, განმარტა, რომ მოცემულ ეტაპზე ტესტი შედგენილი არ ჰქონდათ და როდესაც დადგებოდა ამის საჭიროება, კათედრის წარმომადგენლები ერთობლივად შეიმუშავებდნენ.
აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ ტესტის შედგენისთვის გარდა კათედრის პერსონალის კომპეტენციისა საჭირო იყო ფსიქოლოგისა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ჩართულობა. დავით მალაზონიამ სკოლას მისცა რჩევა, რომ ამ კუთხით ჩამოეყალიბებინათ სანდო ინსტრუმენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1100 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლას (ს/კ: 204422703) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა განესაზღვროს 1100-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, გორგასლის ქ. N75
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, გორგასლის ქ. N75
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, გორგასლის ქ. N75

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში. კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა. ასევე, ინკლუზიური გარემოს შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

5. სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-10 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა 2020 წლის შემდეგ დასაქმებულთა
უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და
ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები, სკოლაში დასაქმებული ექიმის კვალიფიკაციის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ასევე, სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, თოკის სასწავლო ფართის სამედიცინო ოთახით/პუნქტით და შესაბამისი სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების (თოკის სასწავლო ფართზე), თოკის სასწავლო ფართის კამერებით აღჭურვის, ასევე თოკის სასწავლო ფართზე საპირფარეშოს კეთილმოწყობის, დაბა ასპინძაში მდებარე

სასწავლო ფართზე არსებული შენობებისთვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ლიფტის უსაფრთხოების კომპონენტის შესაბამისობის დეკლარაციის და თოკის სასწავლო ფართზე ლაბორატორიების და სპორტული დარბაზის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები და ლიფტის უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტი.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, სახანძროსა და მდგრადობის დასკვნები, სოფელი თოკის შენობაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, კლარა ზედგენიძის განმარტებით, დაბა ასპინძის საჯარო სკოლას მიერთებული ჰქონდა სოფელ თოკის სკოლა. მისი თქმით, სკოლას2022 წელს ჩაუტარდა რეაბილიტაცია და შეესაბამებოდა თანამედროვე სტანდარტებს. ძირითად შენობასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია მეტწილად აღმოფხვრილი ჰქონდათ, ერთადერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა ექიმის აყვანა, ვინაიდან ორჯერ გამოაცხადეს ვაკანსია და არც ერთხელ არ გამოჩნდა მსურველი. მისი თმით, რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხებოდა სოფელ თოკში მდებარე შენობას. გაცემული რეკომენდაციების აღმოფხვრაში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობა, თუმცა, საბოლოო დახმარებას ელოდნენ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან. სკოლის დირექტორის განმარტებით, მათთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მოსწავლეებსა და მშობლებს ჰქონოდათ რაიონში დარჩენის მოტივაცია და ამისთვის სკოლას ჰქონდა მნიშვნელოვანი როლი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხოლო, იმ რეკომენდაციებზე, რომელიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, მდგრადობის დასკვნა, ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები და სოფელი თოკის შენობაზე გაცემული რეკომენდაციები) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართელოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-10 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:03 საათი
დასრულების დრო: 16:09 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის N1757597 ოქმის მე-10 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**10. სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ვასაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ოქტომბერს. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ორ მისამართზე კერძოდ დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. #7-ში, სადაც დაწესებულება ახორციელებდა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე და ასპინძის მუნიციპალიტეტ, სოფელ თოკში, სადაც დაწესებულება ასევე ქართულ ენაზე ახორციელებდა დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 600 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 600 - მოსწავლისთვის.
ნინო ვასაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი და კომპონენტები 3.1, 3.4, 3.5 შეფასდა „ მეტწილად შესაბამისად“. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს შეფასდა „მეტწილად“ შესაბამისი ვინაიდან კომპონენტი 2.2 შეფასებული იყო

მეტწილ შესაბამისად დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებზე. აღნიშნული შეფასება განაპირობა სოფელ თოკში მატერიალური რესურსის სიმწერემ და ლაბორატორიების არარსებობამ.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ჭრა - კერვის შემსწავლელი კლუბი. სკოლა აპირებდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას. დაწესებულება ასევე ზრუნავდა განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მაღალმთიან სოფელში, ინარჩუნებდა სასწავლო კორპუსს, რომელშიც სწავლობდა ორი მოსწავლე და წლების წინ დაკეტილი სკოლის აღსადგენად არ იშურებდა ძალისხმევას. ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, ინფრასტრუქტურულ მატერიალურ და ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებული რეკომენდაციები გაცემული იყო თუ არა მხოლოდ სოფელ თოკში არსებულ შენობასთან მიმართებით და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა აეხსნა რა ეტაპზე იყო რეკომენდაციების შესრულების პროცესი.
ექსპერტმა, ნინო ვასაძემ დაადასტურა აღნიშნული. სკოლის დირექტორმა, კლარა ზედგენიძემ კი განაცხადა, რომ სოფელ თოკში ცხოვრობდა 11 ოჯახი, სკოლის გახსნა კი მოხდა ახლად გადმოსული ოჯახის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ჰყავდა 5 შვილი. დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის მთავარი შენობის გამოყენება იყო შეუძლებელი ამიტომ მოხდა დამხმარე შენობის გარემონტება, რათა სოფელში მცხოვრებ სამ მოსწავლეს მიეღო განათლება. მისი განცხადებით, სოფელში არსებული მდგომარეობა, რომელიც გამოწვეული იყო შესამაბისი პირობების არქონით, გავლენას ახდენდა სკოლის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებაზეც. სკოლამ უკვე მიმართა შესაბამის ორგანოებს რომ მომხდარიყო სკოლის რეაბილიტაცია და შენარჩუნებოდა ის სოფელს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა როგორ ხდებოდა სოფელ თოკში არსებულ სკოლაში ყველა საჭირო რესურსის მიწოდება მოსწავლეებისათვის.
სკოლის დირექტორის, კლარა ზედგენიძის განცხადებით სკოლაში ყველა საგნის მასწავლებელი იყო გარდა ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფიისა, ვინაიდან კონკურსის გამოცხადების შემდეგ ვერ მოხდა შესაბამისი კადრის მოძიება. აღნიშნულ საგნებში რესურსცენტრთან შეთანხმებით, ტარდებოდა ონლაინ გაკვეთილები და მასწავლებლები აქტიურად იყენებდნენ ვირტუალურ ლაბორატორიასა და სხვა რესურსებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო

ინტერესებიდან გამომდინარე, მხარი არ დაუჭირა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - დაბა ასპინძის საჯარო სკოლას(ს/კ: 223104263) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. N7 / ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი თოკი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. N7 / ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი თოკი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. N7 / ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი თოკი

3.1, 3.4, 3.5, 2.2 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში კერძოდ, 3.1 კომპონენტთან მიმართებით სკოლამ უნდა უზრუნველყოს 2020 წლის შემდეგ დასაქმებულთა მხრიდან უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობების წარმოდგენა და სკოლაში დასაქმებული ექიმის კვალიფიკაციის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში

მოყვანა. 3.4 კომპონენტთან მიმართებით სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, თოკის სასწავლო ფართის სამედიცინო ოთახით/პუნქტით და შესაბამისი სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან თოკის სასწავლო ფართზე. სკოლამ აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით უნდა უზრუნველყოს თოკის სასწავლო ფართის კამერებით აღჭურვა და უზრუნველყოს ასევე თოკის სასწავლო ფართზე საპირფარეშოს კეთილმოწყობა. 3.5 კომპონენტთან მიმართებით სკოლას განესაზღვრა დაბა ასპინძაში მდებარე სასწავლო ფართზე არსებული კორპუსებისთვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ლიფტის უსაფრთხოების კომპონენტის შესაბამისობის დეკლარაციის მოპოვება და სოფელ თოკში მდებარე სასწავლო კორპუსში ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა. 2.2 კომპონენტთან მიმართებით კი სკოლამ უნდა უზრუნველყოს თოკის სასწავლო ფართზე ლაბორატორიების და სპორტული დარბაზის მოწყობის უზრუნველყოფა და ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.“

6. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე, სკოლის შიდა პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ნელი ნათენაძის განმარტებით, დაწესებულებას მოპოვებული ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და სკოლის შიდა პერიმეტრი მოწყობილი ჰქონდა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. სახანძრო უსაფრთხოების დასკვნასთან დაკავშირებით კი, აღნიშნა, რომ მოწყობილი ჰქონდათ სიგნალიზაცია, ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმა და აპირებდნენ ტრენერის დაქირავებას, რომელიც მასწავლებლებს ამ მიმართულებით ჩაუტარებდა ტრენინგებს, სხვა მიმართულებით კი მხარდაჭერას ელოდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან. აქვე, დასძინა, რომ დაწესებულებამ გააუმჯობესა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.
საბჭოს წევრი, ნონა ჩუბინიძე, დაინტერესდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის გაუმჯობესებამდე როგორ ტარდებოდა გაკვეთილები ამ მიმართულებით.
სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ მასწავლებლები დებდნენ ყოველგვარ რესურსს, რათა შეუფერხებლად წარმართულიყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვასთან დაკავშირებით.
რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:16 საათი
დასრულების დრო: 16:23 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მე-5 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„5. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ასპინძის

მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ორგორაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 40 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 35 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". მეორე სტანდარტი დაწყებით საფეხურზე შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო საბაზო საფეხურზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". სტანდარტის მოთხოვნებთან ასევე „მეტწილად" შესაბამისი იყო კომპონენტები 1.2, 3.1 და 3.4.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად", ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში წლების წინ გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა სკოლის მდიდარი ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებამდე სასწავლო პროცესები მიმდინარეობდა მეზობელ სოფელში მდებარე სკოლაში.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა ექსპერტს მიმართა კითხვით, რომელ წელს იყო სკოლაში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 2021-2022 სასწავლო წელს.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები რიგ შემთხვევებში არ იყო სრულყოფილი და ამასთანავე, კურიკულუმების სტილი ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რაც არ ტოვებდა სკოლაში შეთანხმებული და გუნდური მუშაობის შთაბეჭდილებას. საბჭოს წევრმა ექსპერტებს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სკოლაში ადგილი თანამშრომლობას, იდეების გაზიარებასა და შეთანხმებას. სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა, როლანდ ხოჯანაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად კურიკულუმების ჩარჩოებს შორის დიდი სხვაობისა, სკოლაში მასწავლებლებს შორის არსებობდა მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, ისინი ატარებდნენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ახორციელებდნენ ერთობლივ პროექტებს.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, სკოლის ლაბორატორიით უზრუნველყოფის მიზნით, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ქმედითი ნაბიჯები გადადგმული მოცემული დროისთვის. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნელი ნათენაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე პერიოდში სკოლის ბიუჯეტიდან შეძენილი იყო ლაბორატორიისთვის ამწოვი კარადა და ხელსაბანი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ეტაპობრივად გეგმავდა ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსების შეძენას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ირინა გოგონაიამ აღნიშნა, რომ სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ. სკოლას STEM-ის კონფერენციაზე წარმოდგენილი ჰქონდა ინტეგრირებული პროექტი, სახელწოდებით „ჩემი სკოლის საოცნებო პარკი".

სხდომის თავმჯდომარემ თამარ მამსიკაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე- 4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლას (ს/კ : 223104432) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 40- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ორგორა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ორგორა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მეორე (დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მეოთხე სტანდარტები.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში, კერძოდ: სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება და ცენტრში წარდგენა; ასევე, სკოლის შიდა პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვა და დამადასტურებელი დოკუმენტის ცენტრში წარდგენა.“

7. სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარისსაჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 13 ნოემბრის N1537604 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნები.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ბელა ცინცაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც ასახული იყო, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი. მისი თქმით, სკოლის შენობა აშენებული იყო 2014 წელს და ფიქსირდებოდა ბზარები კედლებზე, შესაბამისად, მიეცათ რეკომენდაცია გაეკეთებინათ ბზარების მონიტორინგი. აქვე, აღნიშნა, რომ საბჭოს დროისთვის ბზარების მდგომარეობა იყო უცვლელი. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოეხდინათ სახანძრო სიგნალიზაციის დამონტაჟება და მოეწყოთ მეორე სახანძრო გასასვლელი, შესაბამისად, დახმარების მიზნით მიმართული ჰქონდათ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის. აქვე, აღნიშნა, რომ ვერ წარმოადგინა ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის მტკიცებულება, მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთვის. სააგენტოსგან პასუხად მიღებული ჰქონდათ, რომ აღნიშნულ საკითხს გაითვალისწინებდნენ სამოქმედო გეგმაში. ასევე დაწესებულებამ მიმართა სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გასამართად.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნებთან დაკავშირებით.
რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის მტკიცებულება) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 ნოემბრის N1537604 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:29 საათი
დასრულების დრო: 16:36 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 ნოემბრის N1537604 ოქმის მე-2 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ხათუნა ფაილაძემ.
მისი განცხადებით, სსიპ- ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 60 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.
მისი თქმით, ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა, დასძინა, რომ მესამე სტანდარტის 3.4. და 3.5 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო

რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება გამოირჩეოდა მოსწავლეებზე განსაკუთრებული მზრუნველობით და თანამშრომლობის მაღალი კულტურით. ხათუნა ფაილაძემ ხაზი გაუსვა სკოლაში არსებულ მოწესრიგებულ გარემოსა და ინფრასტრუქტურას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, მიიღო თუ არა სკოლამ დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, დაწესებულების დირექტორმა, ბელა ცინცაძემ, განაცხადა რომ სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. აქვე, მან დასძინა, რომ სკოლა შესაბამისი სამსახურის მხრიდან ელოდებოდა ექსპერტთა ჯგუფს შენობის მდგრადობის შეფასების მიზნით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯაროსკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლას (ს/კ: 242007458) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი. სოფელი წიფნარი
2		საბაზო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი. სოფელი წიფნარი

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

საბჭომ 3.4, და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

8. სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 01 ნოემბრის N1474210 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მაია ხახალეიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, ხოლო სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ჰქონდათ პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და ელოდნენ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან შესაბამის ნაბიჯებს. მისი თქმით, სკოლაში შექმნილი იყო ადაპტირებული გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.
რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 01 ნოემბრის N1474210 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:49 საათი
დასრულების დრო: 16:53 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 01 ნოემბრის N1474210 ოქმის მე-4 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**4. სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. მისი განცხადებით, სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ნაკადულის ქ. N6-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1500 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1500 მოსწავლისთვის.
ნანა მონიავას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი

შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე და მეორე სტანდარტს, შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა აღჭურვილი იყო საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით, თუმცა, აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ ლაბორატორიის აღჭურვილობა იყო მოძველებული. სკოლას, ასევე, ჰქონდა სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი და ღია სპორტული მოედანი, თუმცა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შიდა სპორტული მოედანი და სააქტო დარბაზი საჭიროებდა რეაბილიტაციას. ექსპერტმა ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ელექტრონული პორტალი, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეებს შეეძლოთ წინასწარ მოეძიებინათ წიგნი და დაეჯავშნათ, თუმცა მოსწავლეების მიერ არ ხდებოდა აღნიშნული პორტალის ხშირი გამოყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რატომ იყო დაბალი ინტერესი ბიბლიოთეკის ელექტრონული პორტალის მიმართ. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ხახალეიშვილმა აღნიშნა, რომ მოსწავლეების უმეტესობა არჩევანს აკეთებდა წიგნის ადგილიდან გატანაზე და არ სარგებლობდა ელექტრონული ვერსიებით, თუმცა პორტალის შესახებ ყველა მოსწავლე იყო სრულად ინფორმირებული.

საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი, ასევე დაინტერესდა, თუ რამ გამოიწვია სკოლის შიდა სპორტული მოედნისა და სააქტო დარბაზის ამჟამინდელი მდგომარეობა, რაზეც სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ხახალეიშვილმა აღნიშნა, რომ შიდა სპორტული მოედანი და სააქტო დარბაზი სკოლის დაარსებიდან დღემდე არ იყო გარემონტებული, თუმცა დირექტორის განცხადებით, სკოლამ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო სპორტული მოედნის იატაკისა და გასახდელი ოთახების რემონტი.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ტრადიცია ყოველწლიური კონფერენციის „თანადროული განათლება“ ჩატარების და დაინტერესდა, აგრძელებდა თუ არა სკოლა აღნიშნულ ტრადიციას. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ხახალეიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას 2019 წლის შემდეგ ფართო მასშტაბიანი კონფერენციები აღარ ჩაუტარებია, რადგან დირექტორის განცხადებით, პირველ ეტაპზე ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა პანდემია, მოცემულ მომენტში კი სკოლაში იყო არასაკმარისი ფართი დამატებითი არაფორმალური შეხვედრებისთვის, რაც გამოწვეული იყო სკოლის შენობაში მეორე ცვლაში დროებით სხვა საჯარო სკოლის ყოფნით.

საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ სკოლას შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისთვის გამოყენებული ჰქონდა SWOT ანალიზის მეთოდი, სადაც საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეების უარი, სწავლა გაეგრძელებინათ პროფესიულ კოლეჯში, სკოლას მოხსენიებული ჰქონდა როგორც დაწესებულების სუსტი მხარე. მანანა ჯინჭარაძემ მიმართა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს კითხვით და სთხოვა აეხსნა, თუ რა პრევენციული აქტივობები განახორციელა სკოლამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ხახალეიშვილმა განმარტა, რომ ისინი მუდმივად ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან და მშობლებთან, რათა გაეზარდათ პროფესიული განათლების შესახებ

ცნობიერება და მომავალში გეგმავდნენ სკოლას გაეფორმებინა მემორანდუმი კოლეჯ „სპექტრთან“ და სკოლაში მომხდარიყო პროფესიული საგნების ინტეგრირება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საგნებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლას SWOT ანალიზში სუსტ მხარეებად მოცემული ჰქონდა მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია, მშობლების სკოლის მიმართ უნდობლობა და ეკონომიკური საქმიანობის ნაკლებობა. მან სკოლას მიმართა კითხვით, თუ რა ინსტრუმენტებით მოხდა მოსწავლეთა მოტივაციის გაზომვა, ასევე, რაში გამოიხატებოდა მშობლების სკოლისადმი უნდობლობა და რატომ ჰქონდა სკოლას ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები, როდესაც მათ ჰქონდათ შესაძლებლობა იჯარით გაეცათ კონკრეტული ფართები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ხახალეიშვილმა აღნიშნა, რომ 2019 წლის ნოემბერში სკოლამ დაასრულა ფართის იჯარით გაცემა, რის შემდეგაც დაიგეგმა ფართის რემონტი, რასაც დაემთხვა Covid-პანდემია და 2020 წლის სექტემბრიდან სხვა საჯარო სკოლის მოსწავლეების განთავსება შენობაში მეორე ცვლაში. აღნიშნულმა გარემოებებმა კი, თავის მხრივ, შეზღუდა ფართის იჯარით გაცემის შესაძლებლობა. მაია ხახალეიშვილის განცხადებით, საბაზო საფეხურის მოსწავლეებში ხშირი იყო დაბალი აკადემიური მოსწრების შემთხვევები. ამასთანავე, გამოცდების ეროვნული ცენტრი აფასებდა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების სწავლის შედეგებს გამოცდების საშუალებით, რომლის შედეგებშიც ფიქსირდებოდა დაბალი მაჩვენებელი. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ასევე, აღნიშნა, რომ მასწავლებლები სკოლაში ატარებდნენ გამოკითხვას, რომლის შედეგებიც ამტკიცებდა, რომ მოსწავლეთა ნაწილი, რომელიც მოტივირებული იყო, იცვლიდა სკოლას.
საბჭოს წევრის, მაკა მამფორიას განცხადებით, სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ მასწავლებლები მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციას გააზიარებდნენ ზეპირი მოხსენებით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის სახით. საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს აეხსნა, თუ რას ნიშნავდა აღნიშნული ჩანაწერი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ხახალეიშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ ჩანაწერში იგულისხმებოდა მასწავლებლების მიერ განმავითარებელი შეფასების გაცემა, როგორც წერილობითი კომენტარის სახით, ასევე, ინდივიდუალური შეხვედრებისას ზეპირსიტყვიერად.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის ანგარიშში იყო მხოლოდ ჩამონათვალი შესრულებული კომპლექსური დავალებებისა და არ ჩანდა რაიმე სტატისტიკური ანალიზი ან გარკვეული ინტერვენციები მოსწავლეთა არსებული ინტერესისა თუ მოტივაციის და მათი გაზრდის შესახებ. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და სთხოვა დაეზუსტებინა ზემოაღნიშნული საკითხი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, მაია ხახალეიშვილის განმარტებით, მოცემული ანგარიში წარმოადგენდა კათედრების გამოკითხვის შედეგს, რომლის განხორციელების მიზანიც იყო გაერკვიათ, თუ რა დოკუმენტაცია ჰქონდა თითოეულ კათედრას, კონკრეტულად სასკოლო კურიკულუმის სტანდარტთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, დაწესებულებაში განხორციელებულიყო ადგილზე მონიტორინგი, ხოლო მონიტორინგის ფარგლებად განსაზღვრულიყო პირველი, მეორე სტანდარტის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები და მეოთხე სტანდარტი, რადგან სკოლა საჭიროებდა განვითარებას მოცემული სტანდარტების მიმართებით.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლას(ს/კ: 208145283) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, ნაკადულის ქ. N6
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, ნაკადულის ქ. N65
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, ნაკადულის ქ. N6

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 სტანდარტები.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა.“

9. სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - თბილისის კლასიკურ გიმნაზიას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 07 დეკემბრის N1667698 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი დასკვნა. თუმცა, წარმოადგინელი ჰქონდა განმარტება და შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის მტკიცებულებები. 2024 წლის ივლისი, აგვისტოს თვეში გეგმავდა 330.000 ლარის ღირებულების სამუშაოების ჩატარებას, რაც ითვალისწინებდა სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით სკოლის სრულ აღჭურვას. სააგენტომ აღნიშნული პროექტის განხორციელება ვერ შეძლო 2024 წელს და აღნიშნული სამუშაოების დაწყების განახლებულ ვადად განსაზღვრა 2025 წელი. ვინაიდან, 2024 წელს დაგეგმილი პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა სკოლამ განაახლა ცეცხლმაქრები, ყველა სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, თამარ კაპანაძემ, აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ რეკომენდაციის შესრულებას ვერ შეძლებდნენ დამოუკიდებლად და მიმართული ჰქონდათ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის და მიღებული აქვთ სიტყვიერი დაპირება, რომ ერთ წელში აღოიფხვრებოდა აღნიშნული.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ, იმ რეკომენდაციაზე, რომელიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N1667698 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:59 საათი
დასრულების დრო: 17:07 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N1667698 ოქმის მე-3 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრებმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა და ქეთევან ნატროშვილმა განმარტეს, რომ ვერ მიიღებდნენ აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას სკოლასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტის გამო. საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი თანამშრომლობდა სკოლასთან, ხოლო საბჭოს წევრი ეკატერინე კვირიკაშვილი იყო საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობდა აღნიშნული სკოლა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 28 და 29 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირ N10-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მრავალი წარმატებული პროექტი, მათ შორის ერთ-ერთი გახლდათ სკოლის კურსდამთავრებულთა გაერთიანება, რომელიც აერთიანებდა იმ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ და საკუთარი წვლილი შეჰქონდათ სკოლის განვითარებაში, ასევე სკოლის დაწყებითი კათედრის მიერ შექმნილი იყო დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი ლოგიკის სახელმძღვანელოს სახით. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებდა მომღერალთა გუნდი. სხვა მრავალ დადებით გამოცდილებასთან ერთად, ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა მუზეუმი, სადაც განთავსებული იყო სკოლის ისტორიასთან დაკავშირებული ფოტომასალა.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ 1-ლი; მე-2; მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 (ადამიანებისა და პროექტების უსაფრთხოება) შეფასებული იყო “მეტწილი” შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანებით მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა თუ რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმებოდა სკოლის მხრიდან ექსპერტების მიერ გაცემული რჩევების გათვალისწინებისთვის.
სკოლის დირექტორმა, თამუნა კაპანაძემ აღნიშნა, რომ საავტორიზაციო ვიზიტმა სკოლას მისცა შესაძლებლობა უკეთ დაენახათ სუსტი და ძლიერი მხარეები, თუ რისი გამოსწორება იქნებოდა უკეთესი, შესაბამისად აღნიშნულ რჩევებზე მუშაობა სკოლას დაწყებული ჰქონდა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და განაცხადა, რომ სკოლამ ცენტრს მიმართა წერილით, რომლითაც იუწყებოდა რომ სკოლა მზად იყო საგანმანათლებლო საქმიანობა გაეწია 2400 მოსწავლისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ შეძლებდა სკოლა მისი მატერიალური და ადამიანური რესურსით მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობისთვის გაეწია საგანმანათლებლო საქმიანობა. რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2400 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიას (ს/კ: 203853883) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2400 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი 10
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი 10
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი 10

საბჭომ 3.4 შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში, კერძოდ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა.“

10. სსიპ - ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში გაცემული მიწერილობის/ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ დასკვნა ორივე სასწავლო კორპუსისათვის. ახლად აშენებული და რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსებისათვის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (შესაბამის სფეროში აკრედიტებულიორგანოს მიერ) დასკვნა, ასევე შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა/ბრძანების, შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზების და საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სახანძრო ტექნიკური შემოწმების შესახებ მიწერილობა, აზომვითი ნახაზი, საჯარო რეესტრის ამონაწერი.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი ახლად აშენებული და რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსისათვის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ) დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ნანა ბოჭორიშვილის განმარტებით, დაწესებულება იყო ახლადაშენებული, თუმცა, გარკვეული უზუსტობები ფიქსირდებოდა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, კერძოდ, დასამატებელი იყო დეტექტორები, გამოსასწორებელი იყო მართვის ღილაკები და გასაწმენდი იყო წყლის ავზი. აქვე, აღნიშნა, რომ ლიფტი მუშაობდა, გააკეთეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და აზომვითი ნახაზი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სახანძრო ტექნიკური შემოწმების შესახებ მიწერილობასა, აზომვითი ნახაზზე და საჯარო რეესტრის ამონაწერთან დაკავშირებით.
რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული (ახლად აშენებული და რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსებისათვის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ) დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართელოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-8 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:15 საათი
დასრულების დრო: 17:23 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-8 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„8. **სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გელა მაჭარაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ტყიბულში, ბრეგვაძის ქ.N14-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120- მოსწავლისთვის.

გელა მაჭარაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა შეფასებები, კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა ასევე „შესაბამისად“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო, როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომგარე სპორტული მოედანი იმ ეტაპისთვის არ ფუნქციონირებდა დატბორვის (წყალსაწრეტი სისტემის არარსებობის) გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გადმოგზავნილი კურიკულუმები იყო ფაქტობრივად ცარიელი. მან ექსპერტს სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინა ამ საკითხთან დაკავშირებით.

გელა მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ მართალია სკოლის დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი, თუმცა ვიზიტისას გამოიკვეთა პედაგოგთა მაღალი მზაობა, თანამშრომლობითი კულტურა და მიკუთვნებულობის განცდა. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ოთხი წლის განმავლობაში მუშაობა უწევდა რთულ პირობებში, კერძოდ, იქამდე სანამ რეაბილიტირდებოდა ამჟამინდელი შენობა, სკოლა საგაკვეთილო პროცესს ახორციელებდა ეგრეთწოდებული შახტების სამმართველოს შენობაში. აღნიშნულ პერიოდში სკოლამ გასწია დიდი ძალისხმევა, არ შემცირებულიყო მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა. სკოლამ ექსპერტთა ჯგუფთან ერთად იმუშავა და ნაწილობრივ გამოასწორა კურიკულუმები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ფიქრია მუმლაძემ, დაადასტურა ზემოხსენებული და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები სკოლამ მიიღო და გაითვალისწინა. მისი თქმით, სკოლას ვიზიტისას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, თუმცა დაწესებულებაში არსებობდა შესაბამისი აღჭურვილობა.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი, დაინტერესდა სკოლის შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტაციით და სთხოვა სკოლის დირექტორს დაეზუსტებინა, რა ეტაპზე იყო სკოლა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანა ბოჭორიშვილმა, განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტაცია, რომელიც თარიღდებოდა 11 დეკემბერით.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს განუცხადა, რომ მათ მიერ გამოცემულ ბრძანებაში ექთნის აყვანის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავდა ხარვეზებს და საჭიროებდა რედაქტირებას კანდიდატების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ტყიბულის N7 საჯარო სკოლას (ს/კ:219634705) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ტყიბული, ბრეგვაძის ქ.N 14
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ტყიბული, ბრეგვაძის ქ.N 14
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ტყიბული, ბრეგვაძის ქ.N 14

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მეოთხე სტანდარტი.

საბჭომ 3.4, 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში, კერძოდ, სკოლამ უნდა უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში გაცემული მიწერილობის/ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ დასკვნის მოპოვება ორივე სასწავლო კორპუსისათვის. ახლად აშენებული და რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსებისათვის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ) დასკვნის, ასევე შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა/ბრძანების, შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზების და საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის წარმოდგენა.“

11. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა კანონმდებლობით განსაზღვრული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და "უფლების ჩამორთმევის შესახებ" ცნობები, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებისა და დამტკიცების ამსახველი დოკუმენტაცია, ასევე საჯარო რეესტრიდან ამონაწერი და შენობა-ნაგებობის სქემა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საჯარო რეესტრის ამონაწერი, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და "უფლების ჩამორთმევის შესახებ" ცნობები.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვების ამსახველი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენლის, მანანა ლაშხიას განმარტებით, დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვების ამსახველი დოკუმენტაცია, ასევე საჯარო რეესტრიდან ამონაწერი და შენობა-ნაგებობის სქემა, სავალდებულო ცნობები, ასევე, მოპოვებული ჰქონდათ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, თუმცა, აღნიშნული არ წარმოუდგენიათ ცენტრში. აქვე, დასძინა, რომ გამოყოფილი იყო საბუნებისმეტყველო

მეცნიერებების ოთახი, სადაც ჰქონდათ შესაბამისი რესურსები. მისი განმარტებით, სკოლას ესაჭიროებოდა გარე წყალმომარაგების სისტემა და ასევე, არ ჰქონდათ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, აღნიშნულთან დაკავშირებით კი მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საჯარო რეესტრის ამონაწერთან, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და "უფლების ჩამორთმევის შესახებ" ცნობებთან დაკავშირებით.
ხოლო, იმ რეკომენდაციებზე, რომელებიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვების ამსახველი დოკუმენტაცია) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:34 საათი
დასრულების დრო: 17:41 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-6 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„6. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ხუფაცარიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 9 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ წაჩხურაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 60 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 39 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"; მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) დაწყებით საფეხურზე შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო საბაზო საფეხურზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ვინაიდან საბაზო საფეხურზე კომპონენტი 2.2. „მეტწილად" შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. მე-3 სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.5 „მეტწილად" შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ნანა ხუფაცარიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად", ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ექსპერტს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სკოლას მიმღებლობა ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით. ნანა ხუფაცარიამ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მაღალი მიმღებლობა. მასწავლებლებმა ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები გაიზიარეს როგორც ვიზიტის დროს, ისე ვიზიტის შემდეგ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი და ექსპერტებს მიმართა კითხვით როგორ მოხდა აღნიშნული სტანდარტის შეფასება. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, ეკატერინე ბარბანიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო ძალიან მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი. ექსპერტის განცხადებით ასევე შთამბეჭდავი იყო უშუალოდ მასწავლებლებთან გასაუბრება.
საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლას სუსტ მხარედ დასახელებული ჰქონდა მოსწავლეთა თვითმმართველობის საკითხი და თვლიდა, რომ ამ კუთხით საჭიროებდა გაძლიერებას. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, გარდა სკოლაში მოსწავლეთა მცირე რაოდენობისა, რაში ხედავდა პრობლემას და რა სახის ინტერვენციებს გეგმავდა პრობლემის აღმოსაფხვრელად. სკოლის წარმომადგენელმა, მანანა ლაშხიამ აღნიშნა,

რომ სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვან საკითხად თვლიდა მშობელთა როლის გაძლიერებას.
სკოლის წარმომადგენლის მანანა ლაშხიას განცხადებით სკოლას მოცემული დროისთვის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა ექსპერტების მიერ 3.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციით განსაზღვრული ცნობები. მანანა ლაშხიას განცხადებით სკოლას მოცემული დროისთვის ჰქონდა მიწერილობა სამინისტროსთან ახალი ლაბორატორიის მოთხოვნასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რომელ წელს იყო სკოლის შენობა რეაბილიტირებული. სკოლის წარმომადგენლის მანანა ლაშხიას განცხადებით სკოლა აშენებული იყო 2021 წელს. საბჭოს წევრი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას ამონაწერი. ექსპერტმა ნანა ხუფაცარიამ განმარტა, რომ სკოლას არ ჰქონდა აღნიშნული ამონაწერი, რის თაობაზეც სკოლას ჰქონდა მიწერილობა შესაბამის სამსახურთან.
საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც ოთახების სიმცირის გამო კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული იყო როგორც ბიბლიოთეკა, ისე საქმის მწარმოებლის სამუშაო სივრცე. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას მოსწავლეებისთვის განკუთვნილი, ცალკე სამუშაო სივრცე. სკოლის წარმომადგენელმა მანანა ლაშხიამ აღნიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ცალკე სამუშაო სივრცე არ არსებობდა და აღნიშნული კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა ნებისმიერ დროს შეეძლოთ მოსწავლეებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას (ს/კ: 235444328) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

		საფეხური		ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი წაჩხურა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი წაჩხურა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია); სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი და საბაზო საფეხურის პროგრამები)); სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა).

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში კერძოდ, კანონმდებლობით განსაზღვრული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და "უფლების ჩამორთმევის შესახებ" ცნობების, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვების ამსახველი დოკუმენტაციის, ასევე საჯარო რეესტრიდან ამონაწერისა და შენობა-ნაგებობის სქემის წარმოდგენა. ხოლო, 2025 წლის მაისში და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა.“

12. სსიპ - ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე, ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა და ადაპტირებული გარემოს მოწყობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. აქვე, აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ინფრასტრუქტურის სააგენტოს თანხმობის წერილები სამოქმედო გეგმაში სკოლის გათვალისწინების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მაია მღვდელაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, მზად ჰქონდათ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ პროექტი და ელოდებოდნენ შესაბამის ნაბიჯებს პასუხისმგებელი ორგანოსგან. რაც შეეხებოდა ინკლუზიური გარემოს შექმნას, აღნიშნა, რომ დაწესებულება საკუთარი ხარჯებით ვერ შეძლებდა პანდუსის ან ლიფტის მოწყობას და ჰქონდათ მიწერილობა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, დაახლოებით რა დრო დასჭირდებოდა გაცემული რეკომენდაციების აღმოსაფხვრელად.
სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულება საკუთარი სახსრებით ვერ გასწვდებოდა კოლოსალურ თანხებს და ელოდა მხარდაჭერას პასუხისმგებელი ორგანოსგან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, რა ვითარება იყო სკოლის ეზოს შემოღობვასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ სამუშაოები ნაწილობრივ შესრულდა, გამაგრდა ძირითადად პრობლემატური ნაწილი და საფრთხისშემცველი არ იყო სკოლის ტერიტორია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით.
ხოლო, იმ რეკომენდაციებზე, რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა და ადაპტირებული გარემოს მოწყობა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:51საათი
დასრულების დრო: 17:56 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-6 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**6. სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. N64-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1800 მოსწავლე.
მისი თქმით, სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 3 (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. დაწყებით საფეხურზე სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო დაწყებით საფეხურზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებით საფეხურზე კომპონენტი 2.2 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. კომპონენტები 3.4 და 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
მისი თქმით, სკოლის ფოიეში განთავსებული იყო მოსწავლეების მიერ შექმნილი წიგნი, რომელიც მოგვითხრობდა 2008 წლის ომში დაღუპულ გმირებზე. დაწესებულებაში ასევე მოქმედებდა ინკლუზიური განათლების კათედრა და მთლიანობაში ირიცხებოდა 44 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელთა მხარდაჭერის მიზნით იგეგმებოდა და ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის პროექტი და ღონისძიება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ციფრული ტელევიზია.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, თეა მათითაიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეინიშნებოდა რიგიშეუსაბამობები, , მაგრამ ამ მიმართულებით, ვიზიტის დროს, მოხდა გარკვეული რჩევებისა და რეკომენდაციების გაცემა, რომელთა ნაწილის გათვალისწინება მოახერხეს მასწავლებლებმა. ექსპერტის განცხადებით, I-VI კლასებში მოცემული კურიკულუმის ჩარჩოში არსებული ხარვეზები მეტწილად გამოსწორებულ იქნა. თუმცა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხელი არ მიუწვდებოდა კომპლექსურ დავალებებზე და გამოთქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენა სკოლამ ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ მოახერხა.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გეოგრაფიის მიმართულებით გამოცხადებულ ვაკანსიაზე საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც 7 წევრიდან ესწრებოდა 2 და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებაც ხდებოდა ორი წევრის მიერ. საბჭოს ამავე წევრმა დასძინა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ამ შემთხვევაში, სხდომას უნდა დასწრებოდა 3 ადამიანი მაინც და სკოლას მიმართა თხოვნით აღნიშნულის გათვალისწინებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, მაია მღვდელაძემ, აღნიშნა, რომ მოცემულ დოკუმენტზე არ ფიქსირდებოდა იმ წევრების ხელმოწერები, რომლებიც შეხვედრაზე იყვნენ დისტანციურად.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო თანხმობა დადასტურებული ყოფილიყო ხელმოწერით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლას (ს/კ : 208142776) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1800- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, შუამთის ქ. N64
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, შუამთის ქ. N64
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, შუამთის ქ. N64

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი)

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში, კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, ასევე ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

13. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 25 იანვრის N71540 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის იანვრამდე ცენტრში წარმოედგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. ასევე , შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ასევე, წარმოედგინა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და უსაფრთხოების კამერების დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ცნობები, ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმები, სტრატეგიულის შემუშავების მეთოდოლოგია, ხელშეკრულება სახანძრო სიგნალიზაციის შემოწმებაზე, სახანძროს სიგნალიზაციაზე ინსპექტირების დასკვნა, შიდა კამერების შესყიდვის და მონტაჟის მომსახურების ხელშეკრულება, საკონკურსო კომისიის

შექმნის ბრძანება, სკოლის სტრუქტურა, სკოლის წესდება და სასკოლო სასწავლო გეგმა. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა, წარმოდგენილი ინფორმირების ფორმაში განმარტებული ყო, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შემუშავების პროცესში იყო. საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ლალი ნადირაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის შემდგომ შეეცვალა სახელი დაეწოდა, სსიპ- გელა თიგიშვილის სახელობის კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლა. რეკომენდაციებთან დაკავშირებით კი, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ცნობები, ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმები, სტრატეგიულის შემუშავების მეთოდოლოგია, ხელშეკრულება სახანძრო სიგნალიზაციის შემოწმებაზე,სახანძროს სიგნალიზაციაზე ინსპექტირების დასკვნა, შიდა კამერების შესყიდვის და მონტაჟის მომსახურების ხელშეკრულება, საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება, სკოლის სტრუქტურა, სკოლის წესდება, სასკოლო სასწავლო გეგმა. აქვე, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ესაჭიროებოდა წყლის გარე რეზერვუარი.
ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, განაცხადა, რომ გაწერილი უნდა იყოს რესურსები და მხოლოდ პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა საკმარისი არ იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ- გელა თიგიშვილის სახელობის კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმები, სტრატეგიულის შემუშავების მეთოდოლოგია, ხელშეკრულება სახანძრო სიგნალიზაციის შემოწმებაზე,სახანძროს სიგნალიზაციაზე ინსპექტირების დასკვნა, შიდა კამერების შესყიდვის და მონტაჟის მომსახურების ხელშეკრულება, საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება, სკოლის სტრუქტურა, სკოლის წესდება, სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ.
ხოლო, იმ რეკომენდაციებზე, რომელიც არ იყო შესრულებული (საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ვინაიდან დაწესებულებას შეცვლილი ჰქონდა სახელწოდება, მიზანშეწონილი იყო ცვლილების განხორციელება ამ მიმართულებითაც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N71540 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 18:09 საათი
დასრულების დრო: 18:14 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N71540 ოქმის მე-5 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„5. სსიპ - გელა თიგიშვილის სახელობის კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ კოდისწყაროში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 60 მოსწავლე. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისათვის.
ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ლი და მე-3 სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 და მე-4 სტანდარტები როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 1.1, 1.2, 3.1 და 3.4 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა კინოკლუბი, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა ისტორიული ფილმების ეკრანიზაცია. მისი განცხადებით, დაწესებულება ჩართული იყო სასკოლო აქტივობების ხელშემწყობ ქვეპროგრამაში, ასევე აქტიურად თანამშრომლობდა პროფესიულ სასწავლებელთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
შემდგომ კი თავადვე გაამახვილა ყურადღება პირველ სტანდარტზე და ექსპერტს მიმართა კითხვით, მოხდა თუ არა სკოლის მხრიდან განახლებული დოკუმენტაციის ცენტრში

გადმოგზავნა. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან მოცემული დროისთვის შესწორებული დოკუმენტაცია გადმოგზავნილი არ იყო.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აქცენტი გააკეთა სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიანი სამოქმედო და და შვიდწლიანი სტრატეგიულ გეგმებზე, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლა გეგმავდა მისიის გადახედვას და შესაბამისი კორექტირებების განხორციელებას.
საბჭოს ამავე წევრმა ასევე ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმზე და აღნიშნა, რომ მოცემულ დოკუმენტში შეინიშნებოდა ხარვეზები გვერდების ნუმერაციასთან დაკავშირებით და სკოლას მისცა რეკომენდაცია აღნიშნულის გადახედვასა და ხარვეზების გამოსწორებასთან მიმართებით. მან ასევე დასძინა, რომ მნიშვნელოვანი იყო საგაკვეთილო ცხრილში მკაფიოდ ყოფილიყო ხაზგასმული, როგორც გაკვეთილის დაწყების დრო და დასვენების ხანგრძლივობა, ასევე გაკვეთილების დასრულების დრო.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გელა თიგიშვილის სახელობის კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მესამე პუნქტების შესაბამისად, სსიპ- გელა თიგიშვილის სახელობის კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლას (ს/კ : 232550806) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოდისწყარო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოდისწყარო

საბჭომ 1.1, 1.2, 3.1 და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში. კერძოდ: დაწესებულებამ შეიმუშაოს და ცენტრში წარმოადგინოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრული იქნება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. წარმოადგინოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, უსაფრთხოების კამერების დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, 2026 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოადგინოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებები.“

14. სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესხებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, როენა ფიფიას განმარტებით, დაწესებულება იყო ახლადრეაბილიტირებული, თუმცა, არ ჰქონდათ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, დაუკავშირდნენ შესაბამის სამსახურს და გაატარეს გარკვეული ღონისძიებები, კერძოდ, დამუშავდა სკოლის შენობის სხვენის ხის კონსტრუქცია, თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები, დაიმუხტა ცეცხლმაქრები, განათავსეს სახანძრო სიგნალიზაციის პულტი და სხვა. აქვე, აღნიშნა, რომ აპირებდნენ კიდევ მოეწვიათ სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებაზე პასუხისმგებელი ორგანო და მას შემდეგ ექნებოდათ შესაბამისი დასკვნაც. რაც შეეხებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას, აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა საკმარისი სივრცე და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან ჰქონდათ მიწერილობა, რომ გაითვალისწინებდნენ სსიპ-აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ფართის გაზრდის საკითხს.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ, იმ რეკომენდაციაზე, რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად

განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 18:20 საათი
დასრულების დრო: 18:23 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მე-2 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ .
მისი თქმით, დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 5 და 6 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემში.
დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.

ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-3 სტანდარტი, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა) და 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა სკოლას სტრატეგიული განვითარების განხორციელების შედეგების გასაჯაროების პრაქტიკა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მეთოდოლოგიური დოკუმენტი, ასევე, შექმნილი იყო სტრატეგიული განვითარების გეგმა, თუმცა, დაწესებულებას საწყის ეტაპზე ჯერ ვერ ექნებოდა აღნიშნული შედეგები გასაჯაროებული.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, ექსპერტთა მხრიდან გაცემული რჩევების შესასრულებლად, რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავდა სკოლა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, როენა ფიფიამ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება სკოლას დაწყებული ჰქონდა.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე, დაინტერესდა, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით რა ღონისძიებებს ახორციელებდადაწესებულება. როენა ფიფიამ აღნიშნა, რომ საკითხები, რომლებიც მოსწავლეთა მხრიდან დაისმეოდა აქტიურად განიხილებოდა სკოლის სხვადასხვა წარმომადგენელთან ერთად. გარდა ამისა, ბიუჯეტის დამტკიცების პერიოდში წინასწარ ხდებოდა მოსწავლეთა ინტერესების დადგენა და გათვალისწინება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მოპოვებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და, ასევე, დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა როენა ფიფიამ დაადასტურა, რომ დაწესებულება ფლობდა აღნიშნულ დოკუმენტაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის

შესაბამისად, სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლას (ს/კ: 242735910) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი- 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში კერძოდ, დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა 18:25 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე/საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე